რთველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

ოთხშაბათი, 17 დეკემბერი 1919 წ. № 226.

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია (ღიაა 9—2 და 5—7).
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე.
დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. ფოსტის ადრესი:
ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა (ღიაა 9—2 და 5—7).
გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი:
სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 3 მ. უკანასკნელზე 2 მ.
სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ 75 მ., 12 საათის შემდეგ 100 მ.

დამწუხრებული ცოლი ვერა ალექსანდრეს ასული დადიანისა, და ძმა ვლადიმერ ნესტორის ძე დადიანი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხვალ 18 დეკემბერს დილის 11 საათზე გადახდილ იქნება მთავარანგელოზის ეკლესიაში

ანდრეი ნესტორის ძე დადიანის

სულის მოსახსენებლათ წლის თავის წირვა და პანაშვიდი. (1—1)

...იდება შემთხვევით ოჯახური ნივთები: დგამები და ...ძველი თბილისის ქუჩა, მეორე ...ხევი გამყრელიძის სახლი, ნორ...ის კონსულის ბინა. (1—1).

...იდება შემთხვევით ერთ სართულიანი, ოთხი თვა... გალერეით, და ძირს სა(?)დაფით ...ლი, ძველი პოლიციის ქუჩა. პი...ბების გაგება შეიძლება ქალაქის ...ორის პირდაპირ სევერიანქ სვა...ს სავაჭროში. (3—1).

## მანუფაქტურო საქონლის სიძვირე.

...ჭირნახულის გაძვირების ერთ ერ... მიზეზი—სამანუფაქტურო საქონ...ს სიძვირეა.

...მიწის მომქმედი რომ ჭირნახულ...ის, იმდენად აფასებს, რადაც სა...რო სამანუფაქტურო საქონელს ...თვის.

...მაშასადამე, როცა მიტკალი, ტი...ო, შალი, მაუდი, ტყავი და სხ. ...ფია, ჭირნახულიც იაფია.

...იმედი გვქონდა, რომ ომიანობის ...ოს დაგროვებულ თუთუნში ევ...პისაგან საკმაო სამანუფაქტურო ...ქონელს და ხორბალს მივიღე...ბით.

...მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. თუ...უნი—ეს ერთად-ერთი საქონელი, ...მელიც ისე სჭირდება ევროპას, ...ომ მის ნაცვლად, რასაც მოვსთ...ვთ, მოგვაწოდებს, უკვე გა...ივდა.

...და ახლა მთავრობის საწყობებში ...თი მილიონი ფუთი თუთუნი ლაა!

...უეჭველია კი, რომ ამ ათ მილი...ნსაც დიდი შეღავათის მოცემა შე...ძლია, თუ კეთილად მოვიხმართ.

...გვაქვს კიდევ მეორე სავალიუტო ...აგანი—აბრეშუმის პარკი—დაახლო...ებით 10 მილიონი ფუთი.

...შავი ქვა და ღვინოც სავალიუტო ...წარმოადგენენ, მაგრამ ღვინო ამ-ჟამად ცოტა გვაქვს, შავი ქვის გაზიდვის საქმე კი ვერ მოეწყო, ვინაიდან ინდოეთისა და ბრაზილიის შავი ქვა მეტის-მეტად ამცირებს მაზანდას.

იმედი კია, რომ ბოლოს და ბოლოს შავი ქვის გაზიდვის საქმეც მოწესრიგდება.

იმავე დროს ინგლისის ერთს მდიდარ სავაჭრო ამხანაგობას—„კოსმოსს“—გადაუწყვეტია საქართველოსთან მჭიდრო საადებ-მიცემო კავშირი დაიჭიროს.

ერთი მისი გემი ფოთში უკვე მოვიდა და ოთხასი მილიონის სამანუფაქტურო საქონელი მოიტანა.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის მომარაგების კომიტეტმა საქონელი დროზე ვერ მიიღო, გემის გაჩერება კი ხელს შეუწყობს საქონლის გაძვირებას.

რა პირობით იყიდა მომარაგების კომიტეტმა საქონელი; ჯერ არ გაგვიგია. ამბობენ, ქართული ბონებითო.

ეს თუ მართალია, ჩანს, „კოსმოსი“ გვენდობა, მაშასადამე იცის, რომ ინგლისი ჩვენს დამოუკიდებლობას ადრე თუ გვიან იცნობს.

და უეჭველია: როდესაც ეს მოხდება, ჩვენი ბონების კურსიც აიწევს და საქონელიც ერთი ასად გაიაფდება.

მაგრამ დღეს მაინც დიდს გაჭირვებას განვიცდით.

ამბობენ, მიღებული საქონელი სამ ნაწილად გაჰყვეს: ერთი აზერბეიჯანს მიაქვს, ერთი მთავრობას, ერთი კი—კერძო ვაჭრებსო.

არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ცნობა.

ვიტყვი კი: მომარაგების კომიტეტის მიერ განაწილებული საქონლისაგან ხალხის უმეტესობას არა შეხვდება-რა.

საზოგადოდ შემთხვევით შემოტანილი საქონელი ვერ გვიშველის.

## დღიური.

ბოლშევიკებმა პოლტავა აიღეს.
ვორონეჟში ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყებაა.
გალიციის ლაშქარი დენიკინს დაემორჩილა.
გერმანიაში სამხედრო სასამართლოები გააუქმეს.
შვეიცარიაში პრეზიდენტათ მოტტა აირჩიეს.

### წერილები:

მეთაური:—სამანუფაქტურო საქონლის სიძვირე.
ზიკ მეხურელი:—არ ინდობენ.

საჭიროა მაშასადამე, ევროპიდან საქონელი მუდამ მოდიოდეს და მაგიერად ჩვენი რესპუბლიკიდან ევროპაში საქონელი მუდამ გადიოდეს.

ეს კი ამ ხანად მხოლოდ „შავი ქვის“ ექსპორტაციის საშუალებით იქნება შესაძლებელი.

მამ „შავი ქვის“ გაზიდვის მოწყობა—აი საჩქარო მორიგი საკითხი.

## არ ინდობენ.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ წელიწად ნახევარს ბოლშევიკები შეუბრალებელ ტაქტიკას აწარმოებდენ არა მარტო მოწინააღმდეგე პარტიებთან, არამედ ვისაც მათთან არ იყო.

„ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“ აი მათი ლოზუნგი. ოროთქ... მავალებში დაწყებითი და მოელნებზე დაწყებითების რიცხვი პატარა სახელმწიფოს მცხოვრებთა ოდენობაა. შეუბრალებლობით ებრძოდენ ვინც კომუნისტურ წეს-წყობილების განმტკიცებას ხელს არ უწყობდა.

წითელი ტერორის მსხვერპლი გახდნენ რუსეთის ტვინი ... და მინგარირკი. სპობდენ ხუთი წლის ბავშვებს, ორსულ ქალებს, სტუმრებს და მასინძლებს. საკმარისი იყო მათ სამეფოში სულ ერთი პერანგი ჩიეცვა ადამიანს, რომ სიცოცხლეს ასალმებდენ, კმაროდა რაიმე ნიშანი ქუდზე, გულზედ, ან ფოლაქის ნიშნით გეტარებინათ, რომ პირველი შემხვედრი კომუნისტი სიცოცხლეს გამოგასალმებდათ. პატარა უმნიშვნელო ქალაქის ალებისას ათი ათასობით ქლეტენ მშვიდობიან მცხოვრებთ. სისხლის მორევი ათასჯერ იდგა რუსეთის ქალაქებში. გაუსამართლებლათ დახვრეტილების სახელი ლეგიონია. მოწინააღმდეგეთ მათი „ჩრეზვიჩაიკებიც“ არ ინდობდა.

მე მახსოვს როსტოვში როგორ ასამართლებდენ დამნაშავეთ. სასამართლოს თავმჯდომარე, ბოლშევიკების დროს, ასმოლოვის ქარხნის მუშა იყო, იუსტიციის კომისრათ კი მჭედელი. „Голос народа самый справедливый судья“ და ხალხათ მათ მხოლოდ კომუნისტებს მიაჩნდათ, რომლებიც ყოველი შეპყრობილი ადამიანის დახვრეტას მოითხოვდენ.

ძლიერ ფესვიანათ, აღმოფხვრეს ცენტრალურ რუსეთში სარწმუნოების დარაჯი სამღვდელოება. დღეს მთელ საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე ვერც ერთ მღვდელს ვერ შეხვდებით, ვერც ერთ ეკლესიას ნორმალურ მდგომარეობაში ვერ ნახავთ. ტაძრები ცხენების თავლებათ აქციეს და ბევრი ფრესკული ... სასულიერო ... .

დახვრეტილ-და ... მღვდლების და მღვდელ მთავრების ჯვრებს როსკიპ ქალების „რედიკულებათ“ ... და ამნაირათ საბჭოთა რუსეთში განადგურდა სარწმუნოება რომელიც აკავებდა რუსის მუჟიკს ყოველგვარ ბოროტებისგან.

საბჭოთა რუსეთის მოწინააღმდეგეებმა ბოლშევიკების ვერაგობა მთელ მსოფლიოს ამცნეს. ევროპის სახელმწიფოებმა ხმა აღიმაღლეს ვერაგულ მოქმედების წინააღმდეგ, და საბჭოთა მთავრობას მუქარით მიმართეს. საბჭოთა რუსეთის სალათ მოაზროვნე ელემენტებმაც აჯანყების სახით პროტესტი განაცხადეს. თუმც აჯანყებულებს შეუბრალებლათ ხვრეტდენ და მათი სხეულებით მთებს აშენებდენ, მაგრამ უნაყოფოთ არ ჩაიარა ყველა ამან, და ამ წლის აპრილის დღეებიდან ბოლშევიკებმა ტაქტიკა შეიცვალეს. სარწმუნოების დევნა შეაჩერეს, მშვიდობიან მცხოვრებთ აღარ ერჩოდენ, და ინტელიგენციას მეტის მოწიწებით ეპყრობოდენ. ასე იყო ამ ცხრა თვის გან-

მავლობაში. მაგრამ ასე აღარ არის დღეს. მკითხველი დღეს ჩვენი გაზეთის ფურცლიდან გაიგებს რომ ვორონეჟში ბოლშევიკებმა, ამოჟლიტეს მშვიდობიანი მცხოვრებნი, ყველა მღვდლები დახვრიტეს და ცნობილი სარწმუნოების მოყვარე **მთავარ ეპისკოპოზი ტიხონი ელსავლის კარებზე ჩამოახრჩვეს.** მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ამაზე ვერაგული მოქმედება. ბოლშევიკებმა კვლავ დაიწყეს ძველი ნაცადი წესით, ძალაუფლების განმტკიცება. მაგრამ ჩვენ გვრწამს რომ მეოცე საუკუნეში იარაღით განმტკიცებული მთავრობა, იარაღითვე დაეცემა, უმრავლესობის ნებისყოფა ვერ მოისპობა, და უდანაშაულოთ დასჯილი ადამიანის სისხლი, ერთი ათათ ანაზღაურდება.

ეს რუსეთის ამბავია. რომელიც ჯერ სხვა ერს არ უგემია.

მაგრამ კომუნისტების აგენტები არ კმაყოფილდებიან რუსეთით, და თავიანთი ნებისყოფა მთელ მსოფლიოს სურსთ თავზე მოახვიონ. ევროპის შეგნებული მასსა არ შეცდება, სოციალისტური ექსპერიმენტებით თავს არ გაინადგურებს; ლენინ-ტროცკის ჯალათურ დიქტატურას, ჯენტლმენ ლოიდ-ჯორჯის და კლემანსოს ზომიერ პოლიტიკას არჩევს და ამით განადგურებიდან თავს დაიხსნის.

სავალალოა სახელმწიფო სადაც უმეტესობას ბნელი მასა შეადგენს. ისინი ადვილათ მოსტყუვდებიან და კეთილსინდისიერ გზის უარყოფით ცარცვა გლეჯის და ხოცვა ჟლეტის გზას დაადგებიან.

გაფრთხილდენ საქართველოს ბატონები, ყურად იღონ ის საშინელება რომელიც ბოლშევიკურმა ჩრეზვიჩაიკებმა რუსეთს თავს დაატეხეს არ გადადგან ნაბიჯი მათებური პოლიტიკისკენ. ეს მათვისაც აჯობებს და საქართველოსთვისაც.

. ბიკ. მეხურელი.

## უკანასკნელი ცნობები.

მოსკოვში ბოლშევიკებს შეუპყრიათ ქართულ საკონსულო წევრები რომლებსაც არ ანთავისუფლებენ, ვიდრე საქართველოს მთავრობა არ გაანთავისუფლებს თბილისის მეტეხის ციხეში მყოფ ბოლშევიკების მეთაურებს.

—

მოკავშირეებს საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკება მხოლოდ ტყვეების გაცვლა გამოცვლაზე სურსთ და არა პოლიტიკურ საკითხებზე.

—

ლონდონში მოკავშირეთა წარმომადგენლების საგანგებო სხდომაა, რუსეთის საკითხის გადასაჭრელად.

—

ეგვიპტეში ინგლისის წინააღმდეგ აჯანყებაა.

## ხელის მომწერლების საყურადღებოდ.

**გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა აუწყებს ხელის მომწერლებს რომ გაზეთის გამოცემა ტეხნიკურ მიზეზების გამო რამოდენიმე დღით შეწყდება.**

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

**მოქიფე მენშევიკი** ქუთაისის სამაზრო ერობის საადგილ-მამულო განყოფილების გამგე გრიშა ნუცუბიძემ გაიტაცა 150,000 მანეთი და გაიპარა.

**რკინის გზაზე სამხედრო წესები.** სამხედრო წესები რკინის გზებზე მთავრობის დადგენილებით ერთი თვე გაგრძელდა.

✦ **თბილისის მილიციის უფროსის სამსახურიდან გასვლა.** მთავრობის თავმჯდომარის მიერ საყვედურის გამოცხადების გამო, თბილისის მილიციის უფროსმა ვ. სულაქველიძემ, სამსახურს თავი დაანება. რის შესახებ განცხადება შეიტანა ქალაქის თვითმართველობაში. ამის გამო ბენია ჩხკვიშვილმა წერილობით მიმართა სულაქველიძეს. სამსახურს დაუბრუნდეს და განცხადება უკანვე წაიღოს.

### მხატვრული ქრონიკა.

✦ **„ნიამორები“.** იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა მესამე მორიგი ნუმერი ჟურნალ „ნიამორები“-სა.

✦ **„პოეტების ოთახი“.** ქუთაისის პოეტ მწერლების ჯგუფმა განცხადებით მიმართა ქუთაისის ესერთა საგუბერნიო კომიტეტს, რათა მათ დაუთმონ ერთი ოთახი სალონისათვის იმ დარბაზიდან, რომელიც მათ უკავიათ.

✦ **„შვილდოსანი“.** „პოეტების ოთახში“ მოთავსებული იქნება ახალ ჟურნალ „შვილდოსანი“-ს რედაქცია. „შვილდოსანი“ გამოვა იანვრიდან სანდრო ცირეკიძის რედაქტორობით. მოწვეულნი არიან თანამშრომელნი: **„ცისფერ ყანწებიდან“, „ნიამორებიდან“** და გარეშენიც.

✦ **„მარგალიტის მანიაკი“.** თებერვალში გამოიცემა **შ. კარმელის** პირველი ლექსთა წიგნი **„მარგალიტის მანიაკი“.**

✦ **რ. გვეტაძის წიგნი.** თებერვალშივე გამოიცემა **რ. გვეტაძის** ლექსთა პირველი კრებული.

### რუსეთი.

**გინდენბურგის ბარათი გენ. დენიკინს.**

„პოლტავის დღე“ იუწყება: —

ამ დღეებში მთავარსარდალს ეწარუდგა გერმანიის ადმირალი ფონ გოპპე, რომელმაც გენ. დენიკინს ფელდმარშალ გინდენბურგიდან მოუტანა შემდეგი შინაარსის ბარათი: —

„ორასი წლის წინად რუსეთის უდიდესი პიროვნება იმპერატორი პეტრე დიდი, აფრთხილებდა თავის ჩამომავლობას, რომ გერმანიასთან ომი არ ეწარმოებით, რადგანაც ასეთი ომით ის გრძნობდა რუსეთის დაღუპვას.

ორმოცდა ათი წლის წინად გერმანეთის უდიდესი პიროვნება ბისმარკი აფრთხილებდა იმპერატორ ვილჰელმს, რომ რუსეთთან ომი არ ეწარმოებია. დღეს ორივე მხარე დასუსტდა, ორივე დიდი მპყრობელები დამარცხდენ და განადგურდენ. გეოგრაფიულ მდგომარეობასთან ერთად მრავალ რიცხოვანი საზოგადო ინტერესები აერთებს ორივე სახელმწიფოს, რომელნიც დაუბრკოლებლად ხელიხელ ჩაკიდებულნი უნდა გაემართონ ყოფილი ქონების აღსადგენად.

ფელდმარშალი გინდენბურგი თავის ბარათში, გენერალ დენიკინის პატრიოტიზმისათვის აღფრთოვანებას გამოსთქვამს.

**იუდენიჩის მდგომარეობა.**

გაზ. „მორნინგ პოსტის“ სტოკჰოლმის კორესპონდენტი იტყობინება რომ გენერალ იუდენიჩმა [illegible] ნება, გასცა, რომ იამბურგს [illegible] ცია უკუ[illegible] თლეს შეიარაღება, — [illegible] მისი [illegible] უნდა ჩაითვალოს.

## რა დავარქვათ?

(გაგრძელება)

**იაკობ გოგებაშვილის ბუნების კარი.**

4. საქართველოს მთები და ქარები.

გ. 439. . . . . კავკასიონის მთის წვეროები ისეთი მაღალია რომ იმათზედ ზამთარ ზაფხულ თოვლი სძევს აუღებლათ. ამათ შორის ყველაზე მაღლა ცაში ატყორცნილია ორი წვეროკინა: იალბუზი, რომელსაც ხუთ ვერსზე მეტი სიმაღლე აქვს, და მყინვარი, ანუ ყაზბეგი, რომელიც ცოტათი დაბალია იალბუზზე.

5. საქართველოს მდინარეები.

გ. 441. თოვლიან ყინულიანი წვეროები კავკასიონის ქედისა, ერთის მხრივ სასარგებლოა მთელის ჩვენის ქვეყნისათვის, გამდნარი თოვლი და აგრეთვე წვიმა, რომელიც ხშირად მოდის მთაზე, აჩენს მრავალთა მდინარეთა, რომელნიც უხვად ჰრწყავენ და ანოყიერებენ საქართველოსა.

რიონს სათავე ზემო რაჭაში აქვს და გამოდის ფასის მთიდგან აღმოსავლეთის მხრით. ეს მდინარე ზემო წელში დასავლეთ-ჩრდილოეთით მიდის.

მერმე ბრუნდება სამხრეთისკენ, რაჭაზედ მომდინარეობს და შემდეგ იმერეთში ჩამოდის. ქუთაისამდინ რიონი ძლიერ ჩქარა მირბის შემდეგ კი თანდათან მდორეთ მიდის. ქუთაისის ქვემოდ რიონს ერთვის ყვირილა. ყვირილას შეერთებას შემდეგ რიონი დასავლეთისკენ ბრუნდება...

გ. 441 გ. მტკვარი გამოდის საქართველოს სამხრეთის სამძღვარზედ. ახალციხემდინ ჩრდილოეთისკენ მოდის, აქედან პირს აღმოსავლეთისაკენ შვრება და ბორჯომის ხეობაში ჩამოდის. როცა სურამს მოატანს, აღმოსავლეთისკან უხვევს. გორთან მტკვარს ემატება ლიახვი მერმე ქსანი მცხეთასთან — არაგვი და მასუკან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ბრუნდება. კახეთის ბოლოს მტკვარს ალაზანი ერთვის, რომელიც კახეთზე მომდინარეობს და რომელშიაც იორი ჩადის. მტკვარი საქართველოსთვის თითქმის გამოუყენებელი მდინარეა. ამაში გემების სიარული შეუძლებელია, რადგან ძლიერ ჩქარა მიდის და კდეებით სავსეა იმის ძირი და ნაპირები, მხოლოთ ბოლოში კასპიის ზღვიდგან სალიანამდე გემები დადიან. ძველ დროში კი მტკვარი გამოსაყენელი მდინარე ყოფილა. კასპიის ზღვიდან სურამამდე თურმე პატარა გემები დადიოდა.

**მელქისედეკ ხელიძის საქართველოს შედარებითი გეოგრაფია.**

მთის ზონა.

გ. 7. ამ მთის წვეროები ისე მაღალია, რომ იმაზედ ზამთარ-ზაფხულ თოვლი სძევს აუღებლათ, [illegible] შორის ყველაზედ მაღლა ცაში ატყორცნილია **ორი მწვერვალი:** იალბუზი, რომელსაც ხუთს ვერსზედ მეტი სიმაღლე აქვს და მყინვარი ანუ ყაზბეგი, რომელიც ცოტათი უფრო დაბალია იალბუზზედ.

საქართველოს მდინარეთა სისტემა.

გ. 10. თოვლიან ყინულიანი წვეროები კავკასიონის ქედისა ერთის მხრით სასარგებლოა მთელის ჩვენი ქვეყნისათვის. გამდნარი თოვლი და აგრეთვე წვიმა, რომელიც ხშირად მოდის მთაზედ აჩენს მრავალ მდინარეებსა, რომელნიც უხვად რწყავენ და ანოყიერებენ საქართველოს.

სათავე ამას ზემო რაჭაში აქვს და გამოდის ფასის მთიდან აღმოსავლეთის მხრით. სათავიდან დაწყებული ქუთაისამდი რიონი თითქმის სულ მთაკლდიან ადგილებზე მომდინარეობს, ამიტომ აქ რიონს კალაპოტი ღრმა და ვიწრო აქვს, მდინარის ძირი და ნაპირები სულ ნანგრევი კლდის ქვებით არის დათესილი: ადგილი დაქანებულია და ამიტომ წყალი ჩქარა მიდის. ქუთაისის ქვევით რიონის კალაპოტი თან-და-თან ფართოვდება მდინარე სულ ვაკე ადგილზე მიიზლაზნება და შავ ზღვაში ჩადის. მისი კალაპოტი იმდენი ფართოა შესართავიდან ზღვით, რომ შავი ზღვიდან ორპირამდე, რამდენიმე ათი ვერსის მანძილზე პატარა გემები ადვილათ ამოდიოდა და ჩადიოდა ვიდრე რკინის გზას გააკეთებდენ.

გ. 10. მდინარე მტკვარი გამოდის საქართველოს სამხრეთის სამზღვარზედ და ჩადის კასპიის ზღვაში..... მის შენაკადებს შეადგენს: მარცხენა ნაპირიდან ლიახვი დიდი და პატარა, რომელიც მტკვარს ქალაქ გორთან უერთდება . . . . . . შემდეგ მიყვება მდინარე ქსანი . . . . . . მცხეთასთან მტკვარს არაგვი უერთდება . . . კახეთის ბოლოს მტკვარს ერთვის ალაზანი, რომელიც კახეთზედ მომდინარეობს და რომელშიაც იორი ჩადის . . . . . . . . . . . . .

. . . . მტკვარი საქართველოსთვის თითქმის გამოუყენებელი მდინარეა. ამაში გემების სიარული შეუძლებელია, რადგან ძლიერ ჩქარა მიდის და კლდეებით სავსეა იმისი ძირი და ნაპირები. მხოლოდ ბოლოში კასპიის ზღვიდან სალიანამდე გემები დადიან. ძველ დროში კი მტკვარი გემთ სავალელი მდინარე ყოფილა; კასპიის ზღვიდან სურამამდი თურმე პატარა გემები დადიოდა.

— ნ — ე.

(გაგრძელება იქნება).

**დაეკარგე** 12 დეკემბერს ცირკში სამხედრო ბეგარის თავისუფლების მოწმობა ალექსანდრე იოსების ძის სალდაძის, სახელზე. აღნიშნულ მოწმობას გაუქმებულად ვაცხადებ.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.